სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

36138139550015

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N150664254

რეგისტრაციის თარიღი

24.06.2015 წ

ნოტარიუსი: ციური ბერიძე
მისამართი: თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი N 68.
ტელეფონი: 2-23-08-90.

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

მინდობილობა

შპს „ჯორჯია თექნოლოჯი პარკ" (რეგისტრირებული საჯარო რეესტრის მიერ 14/05/2015 წ. საიდენტიფიკაციო კოდი 405101367, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის, ვაკე-საბურთალოს რაიონი, გამზირი ვაჟა-ფშაველა, N 71, ოფისი 28, წარმოდგენილი გენერალური დირექტორის ვლადიმერ შეყრილაძის (საქართველოს მოქალაქე, დაბადების თარიღი: 25.03.1979, პირადი ნომერი: 01024005213, საცხოვრებელი მისამართი: საქართველო თბილისი, ვაშლიჯვარი, კორ. # 14ბ, ბინა # 36) და ფინანსური დირექტორის ირაკლი ურუმაშილის (საქართველოს მოქალაქე, დაბადების თარიღი: 01.12.1984, პირადი ნომერი: 10001013512, საცხოვრებელი მისამართი: საქართველო, თბილისი დიდი დიღომი, მირიან მეფის ქუჩა, კორპუსი #3, ბინა #7) მიერ, შემდგომში მოხსენიებული როგორც **„მიმნდობი"**) **ანიჭებს შემდეგ უფლებამოსილებას ქ-ნ ია ბართაიას** (დაბ. 04.10.1983 წ., მცხ. ქ. თბილისი, მიცკევიჩის ქ. N1, პირადი ნომერი 01024032188, პირადობის მოწმობა N დ1104032, გაცემული სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს საბურთალოს სამსახურის მიერ 11.10.2007წ., შემდგომში მოხსენიებულია როგორც **„მინდობილი პირი"**):

„მინდობილი პირი" უფლებამოსილია წარმოადგინოს **შპს „ჯორჯია თექნოლოჯი პარკ" ქ. თბილისის მერიის სსიპ არქიტექტურული სამსახურთან** ურთიერთობაში ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, სამრეწველო ზონაში ყოფილი „ტარზი"-ს ტერიტორიაზე 30000.00 კვ.მ. ფართის მიწის ნაკვეთზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი **N 72.13.33.769**) არქიტექტორული პროექტის სათანადო წესით შეთანხმებასთან (ცვლილების რეგისტრაციასთან) და მშენებლობის ნებართვის აღებასთან დაკავშირებით.

კერძოდ, **„მინდობილი პირი"** უფლებამოსილია **შპს „ჯორჯია თექნოლოჯი პარკ"** სახელით წარადგინოს/ატვირთოს ყველა აუცილებელი დოკუმენტაცია, ხელი მოაწეროს ყველა აუცილებელ განცხადებებს, განაცხადებს და სხვა ოფიციალურ საბუთებს, მიიღოს მონაწილეობა პროექტის განხილვასა და დამტკიცებაში, წარადგინოს დაკორექტირებული საპროექტო დოკუმენტაცია და შეასრულოს სხვა ყველა ქმედება, რაც უკავშირდება აღნიშნულ დავალებას. **„მინდობილი პირი"** ასევე უფლებამოსილია ხელზე მიიღოს შეთანხმებული პროექტი და მშენებლობის ნებართვა.

წინამდებარე მინდობილობა ძალაშია მასში აღნიშნული დავალების სრულ შესრულებამდე.

ვლადიმერ შეყრილაძე

ირაკლი ურუმაშვილი

თარიღი: 24 ივნისი 2015 წ.

საქართველო

სანოტარო აქტი

ორიათას თოთხმეტი წლის ოცდაოთხ ივნისს, მე-ციური ბერიძეს, ნოტარიუსს საქართველოში, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი №68-ში, მომმართეს

ბატონმა **ვლადიმერ შეყრილაძემ** (დაბ. 25.03.1979 წელს, პიარადი № 01024005213, რეგისტრირებული თბილისი ვაშლიჯვარი კორ. 148 ბ. 36), როგორც შპს "ჯორჯიან თექნოლოჯი პარკ"-ის გენერალურმა დირექტორმა და

ბატონმა **ირაკლი ურუშაძემ** (დაბ. 01.12.1984 წელს, პიარადი № 10001013512, რეგისტრირებული ბოლნისი ს. ქვეში), როგორც შპს "ჯორჯიან თექნოლოჯი პარკ"-ის ფინანსურმა დირექტორმა.

მათი უფლებამოსილება დადგენილია ამონაწერით მეწარმთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან შპს "ჯორჯიან თექნოლოჯი პარკ"-ის (ს.კ 405101367) შესახებ, გაცემული 18/05/2015 წელს მდგომარეობით, რეგისტრაციის ნომერი B15107648,

მათ განაცხადეს, რომ როგორც ამ საზოგადოების დირექტორებმა და წარმოამდგენლობით უფლებამოსილმა პირებმა გარკვეული უფლებამოსილება მიანიჭონ ქალბატონ ია ბართაიას (პ/ნ 01024032188).

მოითხოვეს მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება.

პირადობა დადგენილია. ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს.

შემდეგ მე შევადგინე მინდობილობის პროექტი, რომელიც წავუკითხე მარწმუნებელებს. მათ განაცხადეს, რომ მასში ასახული აზრი სრულად შეესაბამება მათ ნებას. რის შემდეგ ხელი მოაწერეთ წინამდებარე მინდობილობას ჩემი- ნოტარიუსის თანდასწრებით.

გადახდილია სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ, საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29.12. № 507 დადგენილების 31.7.-მუხლის საფუძველზე-20 ლარი, მუხლი 39-ის საფუძველზე-2 ლარი- ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციისათვის და დღგ-3.60 ლარი, საგადასახადო კოდექსის 169 -ე მუხლის თანახმად. სულ -25,60 ლარი

ნოტარიუსი- ციური ბერიძე